პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 ივნისი, უთხუთხშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 147 (15968)

29-30 ივნისს ვენახების რესპუბლიკური დათვალიერება

ვენახების რესპუბლიკურ დათვალიერება - შემოწმებამდე 8 დღე დარჩა. ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ვენახებში აგროწესებით გათვალისწინებული არც ერთი სამუშაო არ ჩამორჩეს, ყველა ღონისძიება განვახორციელოთ ურძნის უხვი მოსავლის მისაღებად!

ყოველი შრომითი დღე—ხუთწლედს!

„არც ერთი სამუშაო დღე, არც ერთი სამუშაო საათი არ უნდა დაიკარგოს ფუჭად!“

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე.

საქართველოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, 25 ივნისს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა. ივნისის ბოლომდე დამატებით რეალიზებულ იქნება რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია.

გეგმის ვადამდე შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, ფოლად-თუჯსამსხმელო, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი, კონიაკის ქარხნების, ჭყონთისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის, გორის ბამბეულის კომბინატის, თბილისის პირველი მაისის სახელობის ხამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა. (საქინფორმი).

სიტყვა საქმით დაამშვენეს

თბილისი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ალბანეთნაგად ვალდებულება იკისრა არჩევნების დღისათვის — 16 ივნისისათვის ნახევარი წლის გეგმა შეესრულებინა.

ქარხნის კოლექტივმა შიდახაზარმოო რეზერვების გამოყენებით და შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდით აღებული ვალდებულება ვადამდე გაანაღდა. ნახევარი წლის სახალონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 14 ივნისისათვის შეასრულა. გეგმის გადამეტებით შეკეთებულია ორი ხამაზავარი ვაგონი, ხამი ელექტროხელკეთილი მოსაბმელი ვაგონი, 22 წევის ძრავი, დამზადებულია 150 ტონა ნაგედი, 83 ტონა თუჯი.

კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა თვის ბოლომდე კიდევ დიდძალი პროდუქცია გამოუშვას.

ქარხნის საერთო წარმატებაში ენერგიული შრომით თავიანთი წვლილი შეაქვთ მოწინავე მუშებს. მათ შორის არიან ელექტროზეინკლები გ. ბოგლიევი და შ. ჯაკვანიშვილი, უფროსი ოსტატი ა. ხოზაშვილი. ისინი გუშინ მუშაობის დროს გადაიღო „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტმა გ. გოგოხიამ.

ფეროშენადნობელთა წარმატება

ზესტაფონი. (ხაკ. კორ. ბ. ჭოიკაძე). ამ დღეებში განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა ზესტაფონელი და ზაპოროჟიელი ფეროშენადნობელების სოციალისტური შეჯიბრება. ზესტაფონელმა მეტალურგებმა ექვსი დღით ადრე შეასრულეს ხუთი თვის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათასობით ტონა ფეროშენადნობი, დაზოგეს 11 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია, მიიღეს 249 ათასი მანეთი მოგება. არანაკლები აღმავლობით მუშაობენ ზაპოროჟიელი მეტალურგები. ახლახან ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მოვიდა ზაპოროჟიელთა ბარათი, რომელიც იუწყება, რომ ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით გამოადნეს ათასობით ტონა ძვირფასი ლითონი, გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება.

დიდი აღმავლობით მუშაობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე სანდნობი საამქროს ცვლა, რომელსაც ზ. ფერაძე თავკაცობს. აქ ყოველ ცვლაში 30-35 ტონა ზეგეგმით ძვირფასი ლითონს ადნობენ. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იმ ღუმელის კოლექტივებმა, სადაც ო. ვაჭარაძის, ა. სოფრომაძისა და ვ. არაბიძის მდნობელთა ბრიგადები მუშაობენ. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 112-115 პროცენტით ასრულებენ.

ზესტაფონელი და ზაპოროჟიელი მეტალურგები შეჯიბრებაში პირდაპირ გამარჯვებენ.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ...

ᲤᲬᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ — ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ დამზადების სამინისტროს მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობენ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-13 პლენუმის გადაწყვეტილებებით, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და გადამდე შეასრულეს ნახევარი წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

21 ივნისისათვის შესრულდა ფქვილის წარმოების ექვსი თვის გეგმა 295,1 ათასი ტონის მოცულობით, 2 ივნისისათვის კი — კომბინირებული საკვების წარმოების გეგმა 290,2 ათასი ტონის მოცულობით. გამოშვებულია 72.730 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია, რეალიზებულია 85.250 ათასი მანეთის პროდუქცია.

თვის ბოლომდე დარჩენილ დღეებში სამინისტროს მრეწველობა დამატებით გამოუშვებს 5,5 მილიონი მანეთის 18 ათას ტონა ხარისხოვან ფქვილსა და 17,5 ათას ტონა კომბინირებულ საკვებს. (საქინფორმი).

□

ᲥᲛᲖᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲔᲜᲐᲥᲘ

ᲑᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. (ᲮᲐᲙ. ᲙᲝᲠ.). რაიონში განსაკუთრებული ყურადღება ეცალა სენაჟის დამზადებას. სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობაში მექანიზატორები თ. ვარამაშვილი და ზ. ბურდიაშვილი მაღალპროფესიულად ამუშავებენ ხათიბ მანქანებს. მძღოლები გ. ყორაშვილი, გ. აბყერიძეშვილი, გ. ჯავახიშვილი და ხ. ყორაშვილი ბალახს სწრაფად ეზიდებიან სასენაჟე ნაგებობებთან, სადაც მოწინავე მექანიზატორი გ. ქართლელიშვილი შეუფერხებლივ კუნაჭს ბალახს.

სოფელ ჩალაუბნის კოლმეურნეობამ გადაწყვეტა დამზადოს 250 ტონა სენაჟი ნაცვლად 100 ტონისა. აქ პირველი ორ დღეში 70 ტონა სენაჟი დამზადდა. ბაკურციხის სანერგე მეურნეობის მექანიზატორებმა უკვე 50 ტონამდე სენაჟი დაამზადეს.

ა. თვალიაშვილი.

ᲐᲕᲢᲝᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲑᲘᲐᲗᲝᲜᲘ. (ᲮᲐᲙ. ᲙᲝᲠ.). სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა მარგანეცის ტრესტის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა. მან სამი კვირით ადრე გადაეარებინა შეასრულა მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის პირველი ნახევრის გეგმა, გადაზიდა 4.645 ათასი ტონა ტვირთი. მნიშვნელოვნად გაზარდა პარკის გამოყენების კოეფიციენტი, წლის დასაწყისიდან მიიღო 169 ათასი მანეთი მოგება.

ავტორანსპორტელებს გადაწყვეტილი აქვთ თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გადაზიდონ 530 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲬᲐᲛᲚᲝᲒᲐ, ᲙᲣᲚᲢᲘᲕᲐᲪᲘᲐ...

ᲑᲐᲩᲘᲠᲔᲗᲘ. („კომუნისტის“ კორ.). სწრაფი ტემპით, ხარისხიანად მიმდინარეობს ბორდოს სითხით წამლობა, კულტივაცია, ვაზების დამატებით გამოკვება და მწვანე ოპერაციები. სიჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მესამეჯერ ჩაატარეს ზვრებში ბორდოს სითხით წამლობა, მწკრივთა შორის კულტივაცია მეორეჯერ ამთავრებენ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდის სავანის კოლმეურნეობა, აქ 100 ჰექტარი ვენახი კარგად არის მოვლილი. აგროწესების დაცვით დაამთავრეს მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავება, სამეჩხრის ლიკვიდაციის მიზნით გადაწყვიტეს ათასობით ვაზი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ. (ᲮᲐᲙ. ᲙᲝᲠ.). რაიონის ხაზოგადოებრივ მეურნეობათა მევენახეები მოელა-პატრონობას არ აკლებენ ზვრებს.

ვიდრე რესპუბლიკური დათვალიერება მოიწყობოდეს, რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ჩაატარეს ზენაზების რაიონული დათვალიერება. დათვალიერებაზე კოლმეურნეობებს შორის პირველი ადგილი მიეკუთვნა ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ბ. გელაშვილი). ბრიგადებს შორის რაიონში პირველ ადგილზე გამოვიდა ამავე კოლმეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც ხ. ზურაბაშვილი ხელმძღვანელობს. ბოდბისხევის კოლმეურნეობაში და გამარჯვებული ბრიგადის ზვრებში ყველა სამუშაო აგროვადებში ჩატარდა და ყურძნის მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

ვენახების რესპუბლიკურ დათვალიერებას, რომელიც 29-30 ივნისს მოეწყობა, ახალი წარმატებებით ხვდებიან წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის შევენახეები. აქ ახობით მეჭტარი ვენახი სანიმუშოდ არის დამუშავებული და უხვ მოსავალსაც მოელიან. ამ სურათზე თქვენ ხედავთ მოწინავე მექანიზატორს გურამ ჯანაშვილს, რომელიც ბორდოს ხსნარით ვენახის შეწამვლაზე მუშაობს.

გ. ზურაბაშვილის ფოტო.

ᲙᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ. (ᲮᲐᲙ. ᲙᲝᲠ.). რაიონის ხაზოგადოებრივ მეურნეობათა მევენახეები მოელა-პატრონობას არ აკლებენ ზვრებს.

ვიდრე რესპუბლიკური დათვალიერება მოიწყობოდეს, რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ჩაატარეს ზენაზების რაიონული დათვალიერება. დათვალიერებაზე კოლმეურნეობებს შორის პირველი ადგილი მიეკუთვნა ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ბ. გელაშვილი). ბრიგადებს შორის რაიონში პირველ ადგილზე გამოვიდა ამავე კოლმეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც ხ. ზურაბაშვილი ხელმძღვანელობს. ბოდბისხევის კოლმეურნეობაში და გამარჯვებული ბრიგადის ზვრებში ყველა სამუშაო აგროვადებში ჩატარდა და ყურძნის მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲞᲣᲠᲡ ᲛᲙᲘᲐᲜ ᲨᲘᲠᲐᲥᲨᲘ

ᲨᲘᲠᲐᲥᲨᲘ და ტარიბანაში მექანიზატორებს, ავტომძღოლებს წუთით მოცლა არა აქვთ, პურეულს მკიან. პირველი სიტყვა ამ საქმეში ხოფელ ჯაფარიძის მექანიზატორებს ეკუთვნით. კომბაინერმა გ. ყორიაშვილმა ხუთ დღეში 100 ჰექტარზე აიღო ქერის მოსავალი, ჰექტარზე სამუალოდ 26 ცენტნერი მარცვალი გაიღეწა.

დაიწყო ნაწვერალზე სიმინდის თესვა. ამ საქმეში ერთიმეორეს ეჯიბრებიან მექანიზატორები ი. ბერიძე და ა. ბენაშვილი, პირველმა 40, ხოლო მეორემ 62 ჰექტარზე დათესა სიმინდი.

ალოობა კარგად მიმდინარეობს ხოფელ ზემო მაჩხაანის, ქვემო ქედის, საბათოლის კოლმეურნეობებში.

პურის მკის ორგანიზებულად შეუდგნენ ზემო ქედის კოლმეურნეობის კომბაინერები გ. მელიქიშვილი და ქ. ყველაიძე. ისინი მანქანას შეუფერხებლად ამუშავებენ. ჰექტარზე სამუალოდ ილეწება 23—24 ცენტნერი მარცვალი. გუშინ ქ. ყველაიძემ რეკორდი დაამყარა. ხორბლის მოსავალი 21 ჰექტარზე აიღო და ხუთასი ცენტნერი მარცვალი გალეწა. გაზეთი „კომუნისტის“ გარდამავალი ვიმპელი მის კომბაინზე ფრიალებს.

სტარტზე არიან შეჯიბრების ინიციატორის — კომბაინერის მიხეილ ლალიაშვილის და მის თანამოაქმეთა კომბაინის აგრეგატები. ისინი შირაქის ნაკვეთებში დგანან, ხორბლის დამწიფებას ელიან.

რაიონში ალოობა ნომერ პირველ საქმედ არის გამოცხადებული. ამ დღეებში მექანიზატორებთან ერთად ბევრი საქმე აქვთ ვაჭრობის, მედიცინის, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს. მათი ხელი, როგორც საჭიროა, ჯერ არ ჩანს. ამაზე რაიონის ხელმძღვანელები თვის სიტყვას იტყვიან.

ვლ. მჟედლიშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ 40 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ...

ᲓᲘᲓᲘ ალოობაა მარნეულის რაიონში. სიღნაღის რაიონის მექანიზატორთა ინიციატივის მაგალითისამებრ მექანიზატორებმა ფართოდ გაიშალეს სოციალისტური შეჯიბრება და მთელი ძალით მუშაობენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების სწრაფად, უხანაკარგოდ აღებისათვის. რაიონში სულ ასაღებია 7.500 ჰექტარი, აქედან მარტო „კოკაკაში“ და „ავრორა“ — 4.000 ჰექტარი. მხვნელ-მთესველები უკვე შეუდგნენ თავიანთი ნაამაგარის დაბინავებას.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მარნეულის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ო. მანაგაძე), რომელმაც ქერი უკვე აიღო 25 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე გალეწა 33 ცენტნერი მარცვალი. გუშინ თავთავდამძიმებულ ქერის ყანაში კომბაინერებმა მ. ტარიბიეი, ზ. ველიევმა, ქ. ხასმამუდოვმა მოსავალი აიღეს ცხრა-ცხრა ჰექტარზე და ჰექტარზე გალეწეს 34 ცენტნერი მარცვალი.

„ვეღის ხომალდები“ აგუგუნდნენ ალგეთის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი დ. აბუსაძე). წელ მარტო „კაკაკაში“ და „ავრორა“ 4 ათასი ჰექტარზე გვითესია. მოსავალს საუცხოო პირი უჩანს. აღებულ ნაკვეთიდან ჰექტარზე უკვე 40 ცენტნერს მარცვლად ვიღებთ, ზოგან 50 და უფრო მეტ ცენტნერსაც მივიღებთ. გადაწყვეტილი სახელმწიფოს მივიღოდა 10 ათასი ტონა მარცვალი ნაცვლად 6 ათასი ტონისა, ნაწვერალი დავთესოთ 3.000 ჰექტარზე, ჰექტარზე საშუალოდ უზრუნველყოთ 28 ცენტნერი მარცვლის მიღება ნაცვლად შარშან მიღებული 24,8 ცენტნერისა, — განაცხადა საუბარში საქართველოს კპ მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. დ. მაღალაშვილმა.

შ. ჭოჭუა.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ Ი. Ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲒᲐ ᲯᲘᲚᲓᲝ

24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ლენინის ორდენი და ოქროს medალი „ნამგალი და უროო“ გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვს. ეს medალი ჯილდო მას მიენიჭა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების მეხუთმეტე წლისთავთან დაკავშირებით.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. ბ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, ა. ი. პელშე, ფ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ფ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი.

ჯილდოს გადაცემის დროს გამოვიდა ამხანაგი ნ. ვ. პოდგორნი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა გულთბილად და გულითადად მიუფოფინეს ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვს ხამშობლოს მაღალი ჯილდო, უსურვეს მას ახალი დიდი წარმატებანი ნაყოფიერ ხელმძღვანელობაში კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ. (საკდესი).

Ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ი. ᲪᲔᲓᲔᲜᲑᲐᲚᲡ

24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი შეხვდა მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ცედენბალს.

ნ. ვ. პოდგორნიმ გულთბილად მეუფლიკი ი. ცედენბალს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე არჩევა.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის ურთიერთობების ბევრ საკითხსა და ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე.

ნ. ვ. პოდგორნისა და ი. ცედენბალის შეხვედრამ გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲛᲘᲜᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲜᲝ, ᲛᲝᲔᲛᲖᲐᲓᲔᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲓᲘᲓᲘ ხანი არაა, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ეწყობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მრავალწლოვანი ნარგავების, მეცხოველეობის ფერმების მანქანა-ტრაქტორთა პარკების მდგომარეობის დათვალიერებანი, რომელშიც ფართოდ მონაწილეობენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი. ეს დათვალიერებანი უკვე კარგ ტრადიციად იქცა. ისინი დაეხმარნენ მუშაკებს ადგილებზე კრიტიკულად შეეფასებინათ გაწეული მუშაობა, ხელი შეეწყვეს მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა დარაზმვას სასოფლო-სამეურნეო საქმეთათვის უკეთ შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე და დაზოგვაზე გასადიდებლად ბრძოლისათვის.

და აი, მიღებულია გადაწყვეტილება მოეწყოს ახალი რესპუბლიკური დათვალიერება, — **კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხმინდისა და სხვა ხათხნი კულტურების ნათესის მდგომარეობის დათვალიერება.** იმ მიზნით, რომ შემოწმდეს ხიმინდისა და სხვა ხათხნი კულტურების ნათესის დამუშავებას, რწყვას, მავხებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობის, სასუქებისა და ზაზმქმიკატების რაციონალური გამოყენების, შრომატევად ხამუშაოთა მექანიზაციის მდგომარეობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიიღო გადაწყვეტილება **რესპუბლიკური დათვალიერება მოეწყოს 1974 წლის 21-22 ივლისს.**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს დაეკალათ ერთი კვირის ვადაში შეემუშაონ და დაუგზავნონ რაიონებს დათვალიერების მოწყობის ინსტრუქციები და პირობები, შექმნან და წინასწარ მიავლინონ რაიონებში სპეციალისტთა და მეცნიერთა სამუშაო კომისიები ადგილზე კვალიფიციური დახმარების გასაწევად.

დათვალიერებაში მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებისა და საქართველოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ მხედრიონი სულ უფრო აძლიერებს დაძაბულობას ახლო აღმოსავლეთში. ამას მოწმობს ისრაელის ჯარების თავმოყრა ლიბანის საზღვარზე, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე დანაშაულებრივი მეკობრული თავდასხმების მასშტაბის გაფართოება.

ისრაელის თვითმფრინავები ბარბარულად ბომბავენ და თავს ესხმიან ლიბანის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს, ლიბანის ტერიტორიაზე განლაგებულ პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებს. ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალები არღვევენ საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას და სისტემატურად იჭრებიან ლიბანის რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში. ამ ბოლო დღეებში ისრაელი საარტილერიო ცეცხლს უშენს აიშა აშშაბისა და ან-ნაკურის რაიონებს. ისრაელმა ზეკობრეებმა დაბომბეს პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკი ნაბათიაში, სხვადასხვა რაიონში ჩამოყარეს „საბავშვო ხათამაშოები“, რომლებსაც ჩატანებული აქვთ ახალფეთქებელი მოწყობილობანი, რითაც ბავშვებ სპეციალისტთა და მეცნიერთა სამუშაო კომისიები ადგილზე კვალიფიციური დახმარების გასაწევად.

დათვალიერებაში მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებისა და საქართველოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები. (საქინფორმი).

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲞᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 24 ივნისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო ხელოვნებათ დაჯილდოდნენ:

ამხ. ნიკოლოზ დანიელის-ძე ᲛᲘᲮᲔᲘᲫᲔ — საქართველოს კომპარტიის ტყიბარჩელის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი — პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამხ. გრიგოლ ნათანის-ძე ᲞᲔᲕᲒᲐᲠᲘᲯᲐ — თბილისის წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მთავარი ინჟინერი — მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებთან.

ამხ. შოთა ბორისის-ძე ᲭᲝᲚᲝᲙᲐᲕᲐ — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი ადმინისტრაციული და საკავშირო-საფინანსო ორგანოების ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ 1974 წლის 27 ივნისს მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების XIV მოწვევის საქალაქო საბჭოს მეექვსე სესია.

სესია გაიხსნება დღის 2 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8). დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე, დღის 1 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს სსრ წყლის კოდექსი

საქართველოს
ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად წყალი, იხვეჭი, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ბუნებრივი სიმდიდრე, ნაციონალიზებულ იქნა და ხალხის კუთვნილება გახდა.

სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაში შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, საწყლო ურთიერთობათა საფუძველია წყლის სახელმწიფო საკუთრება. ეს ქმნის უმეტესი სახალხო-სამეურნეო ეფექტით წყლის გეგმიანი და კომპლექსური გამოყენების ხელსაყრელ პირობებს, საბჭოთა ადამიანების შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო პირობების უზრუნველყოფის საშუალებას.

**საბჭოთა ფედერალური სოციალისტური რესპუბლიკა, ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთეულებიანი ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური რეგიონი, ეროვნული ოლქი, ადგილობრივი საბჭოთა დეპუტატთა მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, ეროვნული ეკონომიკური ადმინისტრაციები, ეროვნული ეკონომიკური საბჭოები, ეროვნული ეკონომიკური ადმინისტრაციები, ეროვნული ეკონომიკური ადმინისტრაციები, ეროვნული ეკონომიკური ადმინისტრაცი

საქართველოს სსრ წყლის კოდექსი

(გაგრძელება)

ამ წესით, რომელსაც ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

თავი IX

სასმელად და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თუ სხვა საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 46. წყლის ობიექტები, რომლებსაც გადასცემენ სასმელად და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თუ სხვა საჭიროებისათვის

სასმელად და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის, აგრეთვე მოსახლეობის სხვა საჭიროებისათვის გადაცემათ წყლის ობიექტები, რომელთა წყლის ხარისხი შეესაბამება დადგენილ სანიტარულ მოთხოვნებს.

წყლის ობიექტებით აღნიშნული საჭიროებისათვის სარგებლობა ხორციელდება როგორც ცენტრალიზებული, ისე არაცენტრალიზებული წესით.

მუხლი 47. მოსახლეობის წყალმომარაგება ცენტრალიზებული წესით

სასმელად და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თუ სხვა საჭიროებისათვის ცენტრალიზებული წყალმომარაგების წესით წყლის ობიექტებით სარგებლობისას საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთა ოპერატიულ მმართველობაში, საკუთრებაში ან სარგებლობაშია სამეურნეო-სასმელი წყალსადენები, უფლება აქვთ აიღონ წყალი მომარაგების სათანადო წყაროებიდან დადგენილი წესით დამტკიცებული წყალამღებ ნაგებობათა პროექტებისა და სასმელი წყლის წარმოებისა და მომზმარებლისათვის მიწოდების შესახებ სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შესაბამისად.

ამ მუხლში აღნიშნული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ აღებული წყლის აღრიცხვა, სისტემატური დაკვირვება აწარმოონ წყალმომარაგების წყაროებში წყლის მდგომარეობაზე და აცნობონ წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებს, სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების წყაროებში წყლის ხარისხის დაწესებული ნორმატივებისაგან გადახვევის შესახებ.

მუხლი 48. მოსახლეობის წყალმომარაგება არაცენტრალიზებული წესით

სასმელად და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თუ სხვა საჭიროებისათვის არაცენტრალიზებული წყალმომარაგების წესით წყლის ობიექტებით სარგებლობისას საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უფლება აქვთ აიღონ წყალი უშუალოდ ზედაპირული ან მიწისქვეშა წყაროებიდან საერთო ან სპეციალური წყალსარგებლობის წესით.

ამ მიზნებისათვის განკუთვნილი წყალმღები ნაგებობებით სარგებლობა წარმოებს მშრომელთა დეპუტატების იმ სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია წყალმღები ნაგებობები.

წყალმოსარგებლენი ვალდებული არიან უზრუნველყონ აღნიშნულ წყალმღებ ნაგებობათა სათანადო სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა.

მუხლი 49. სასმელად ვარგისი მიწისქვეშა წყლის გამოყენება ისეთი საქმისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის და სასმელად წყლით მომარაგებასთან

სასმელად ვარგისი მიწისქვეშა წყლის გამოყენება ისეთი საქმისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის და სასმელად წყლით მომარაგებასთან, როგორც წესი, დაუშვებელია.

რაიონებში, სადაც არ არის საჭირო წყლის ზედაპირული წყაროები და არის სასმელად ვარგისი მიწისქვეშა წყლის საკმარისი მარაგი, წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებს შეუძლიათ ნება დართონ გამოყენებულ იქნას ეს წყალი იმ მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის და სასმელად წყლით მომარაგებასთან.

თავი X

წყლის ობიექტებით სარგებლობა სამკურნალოდ, საკურორტო და გამაჯანსაღებელი მიზნით

მუხლი 50. სამკურნალო კატეგორიისათვის მოკუთვნებული წყლის ობიექტებს გამოიყენება უპირველეს ყოვლისა სამკურნალოდ და საკურორტო მიზნით.

სამკურნალო კატეგორიისათვის დადგენილი წესით მიკუთვნებულ წყლის ობიექტებს იყენებენ, უპირველეს ყოვლისა, სამკურნალოდ და საკურორტო მიზნით.

გამონაკლის შემთხვევებში, წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებს შეუძლიათ, ჯანმრთელობის დაცვისა და კურორტების მართვის შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით, ნება დართონ, რომ სამკურნალო კატეგორიის წყლის ობიექტები გამოყენებულ იქნას სხვა მიზნებისათვის.

მუხლი 51. სამკურნალო კატეგორიის წყლის ობიექტებში ჩამდინარი წყლის ჩაშვების აკრძალვა

სამკურნალო კატეგორიის წყლის ობიექტებში ჩამდინარი წყლის ჩაშვება აკრძალულია.

მუხლი 52. დასვენებისა და სპორტისათვის წყლით სარგებლობის წესი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძველების შესაბამისად დასვენებისა და სპორტისათვის წყლით სარგებლობის წესი განსაზღვრება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა დაიშვება განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

მასობრივი დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტებს იყენებენ იმ ადგილებში, რომლებიც დადგენილია მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის, წყალზე მაშველი საზოგადოების ორგანოებთან შეთანხმებით, ხოლო ხანაღნონ გზებზე. — ნაოსნობის მომწესრიგებელ ორგანოებთან შეთანხმებით.

მასობრივი დასვენების ორგანიზებულად ჩატარებისა და სპორტის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით წყლის ობიექტები მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს განკარგულებულ სარგებლობაში.

დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა შეიძლება აიკრძალოს ან შეიზღუდოს ამ კოდექსის 33-ე და 34-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 53. წყლის ობიექტებით სარგებლობა სამოყვარულო და სპორტული მეთევზეობისათვის

დასაშვებია მეთევზეობის წესების დაცვით სამოყვარულო და სპორტული მეთევზეობისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა, გარდა ნაკრძალებისა, თევზსანაშენებისა, თევზწარმოების კულტურული მეურნეობებისა, აგრეთვე სხვა ადგილებისა, სადაც მეთევზეობა აკრძალულია.

მუხლი 54. წყლის ობიექტებით სარგებლობა მცირე ზომის ხომალდებით ნაოსნობისათვის

მცირე ზომის ხომალდებით (მოტორიანი და ნიჩბიანი ნავებით, კატერებით, იალქნიანი იახტით და სხვ.) ნაოსნობისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა დაიშვება მცირეზომიანი ხომალდებით სარგებლობის დამტკიცებული წესების დაცვით.

თავი XI

სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 55. სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით საერთო და სპეციალური სარგებლობა

სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა ხორციელდება როგორც საერთო, ისე სპეციალური წყალსარგებლობის წესით.

სპეციალური წყალსარგებლობისას იყენებენ სარწყავ, გაწყლოვანების, დამშრობ და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებსა და მოწყობილობებს, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა წყალმოსარგებლეებს.

მუხლი 56. სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებლობის დაგეგმვა

სარწყავ, გაწყლოვანების და სარწყავ-გაწყლოვანების სისტემებში თუ სხვა წყალსამეურნეო ობიექტებზე სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებლობა ხორციელდება დადგენილი წესით დამტკიცებული შიდასამეურნეო და საერთო სასისტემო წყალსარგებლობის გეგმების საფუძველზე.

სარწყავი, გაწყლოვანებისა და სარწყავ-გაწყლოვანების სისტემების და სხვა წყალსამეურნეო ობიექტების საექსპლოატაციო სამმართველოები საერთო სასისტემო წყალსარგებლობის გეგმების ადგენენ წყალმოსარგებლე ორგანიზაციათა წყალსარგებლობის შიდასაწარმოო გეგმების, აგრეთვე ამ კოდექსის მე-60 მუხლში მითითებულ მოქალაქეთა და სხვა წყალმოსარგებლეთა მიერ წარდგენილი განაცხადების საფუძველზე.

მუხლი 57. სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით მოსარგებლეთა მოვალეობანი

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები, რომლებიც წყლის ობიექტებით სარგებლობენ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის, მოვალენი არიან დაიცვან წყალსარგებლობის დადგენილი გეგმები, წესები, ნორმები და რეჟიმი, მიიღონ ზომები სამელიორაციო სისტემებიდან წყლის ფილტრაციითა და აორთქლებით დანაკარგების შემცირებისათვის, მაგალ წყლის არარაციონალური გადაადგილებისათვის აცილებისათვის, არ დაუშვან თევზსამეურნეო წყალსატევებიდან თევზის მოხვედრა სამელიორაციო სისტემებში, აგრეთვე შექმნან ნიადაგის ტენიანობის ყველაზე უფრო ხელსაყრელი რეჟიმი.

მუხლი 58. მესაქონლეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

საძოვრებსა და საქონლის გადასარეკი ტრასების ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტები უპირატესად გადაეცემა მესაქონლეობის საჭიროებისათვის, მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების წყლით დაკმაყოფილების შემდეგ.

კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სხვა საწარმო და ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის გადარეკვას, მოვალეა დაიცვას საქონლის გადასარეკ ტრასაზე განლაგებული წყალმომარაგების წყაროები და შეასრულოს წყალსამეურნეო ნაგებობათა და მოწყობილობათა ექსპლოატაციის წესები.

მუხლი 59. წყალსამეურნეო ნაგებობებზე საქონლის გადადენის და ტრანსპორტის გავლის აკრძალვა

აკრძალულია საქონლის გადადენა, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გავლა არსებზე და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებზე იმ ადგილებში, რომლებიც სპეციალურად ამ დანიშნულებისათვის არ არის განკუთვნილი.

მუხლი 60. სასმელსაყარო მიწის ნაკვეთების, საკარმიდამო და სხვა მეურნეობათა წყლით უზრუნველყოფა

წყალმოსარგებლე ორგანიზაციის ტერიტორიაზე (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სხვ.) მცხოვრები კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეების და სხვა მოქალაქეთა საკარმიდამო მეურნეობას წყლით უზრუნველყოფს წყალმოსარგებლე ორგანიზაცია დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

წყალმოსარგებლე ორგანიზაციის ტერიტორიის გარეთ განლაგებული სასამსახურო მიწის ნაკვეთების, საკარმიდამო მეურნეობის და ბოსტნების, მებაღეობისა და მებოსტნეობის ამსანაგობის, აგრეთვე ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის წყლით მომარაგება ხდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი წესით, წყალსარგებლობის გეგმის შესაბამისად.

მუხლი 61. ჩამდინარი წყლებით მორწყვა

სასოფლო-სამეურნეო მიწების მორწყვა ჩამდინარი წყლებით დასაშვებია წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოების ნებართვით სახელმწიფო სანიტარული და ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 62. ტყით, ტყის ზოლებით და ტყის ნარგებებით დაკავებული მიწების მორწყვა და ამოშრობა

ამ კოდექსის 55-ე, 57-ე და 61-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება აგრეთვე იმ მიწების მორწყვასა და დაშრობაზე, რომლებიც უკავია ტყეს, ტყის ზოლებსა და ტყის სანერგეებს.

თავი XII

სამრეწველო მიზნით და ჰიდროენერგეტიკის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 63. სამრეწველო მიზნით წყლის ობიექტებით მოსარგებლეთა მოვალეობანი

წყალმოსარგებლენი, რომლებიც წყლის ობიექტებით სარგებლობენ სამრეწველო მიზნით, მოვალენი არიან დაიცვან წყალსარგებლობის დადგენილი გეგმები, ტექნოლოგიური ნორმები და წყალსარგებლობის წესები, აგრეთვე მიიღონ ზომები წყლის ხარჯის შესამცირებლად და ჩამდინარი წყლების ჩაშვების შესაწყვეტად წარმოების ტექნოლოგიისა და წყალმომარაგების სქემების სრულყოფის გზით (უწყლო ტექნოლოგიური პროცესების, ჰაერით გაცივების, ბრუნვითი წყალმომარაგებისა და სხვა ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით).

მუხლი 64. სამრეწველო მიზნით სასმელი წყლის გამოყენების შეზღუდვა ან აკრძალვა

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სტიქიური უბედურების, ავარიისა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევების დროს, აგრეთვე საწარმოების მიერ წყლსადენიდან წყლის მოხმარების დადგენილი ლიმიტის გადასარჯისას, უფლება აქვთ შეამცირონ ან აკრძალონ სამრეწველო მიზნით სასმელი წყლის გამოყენება კომუნალური წყალსადენებიდან, დროებით შეზღუდონ — საუწყვნო სამეურნეო-სასმელი წყალსადენებიდან, მოსახლეობის უპირველესად ყოვლისა სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების წყლით დაკმაყოფილების მიზნით.

მუხლი 65. ტექნიკური წყალმომარაგებისა და სხვა საწარმოო მიზნებისათვის მიწისქვეშა წყლის გამოყენება

მიწისქვეშა წყალი (მტკნარი, მინერალური, თერმული), რომელიც არ განეკუთვნება სასმელ ან სამკურნალო წყლების კატეგორიას, შეიძლება დადგენილი წესით გამოყენებულ იქნას ტექნიკური წყალმომარაგებისათვის, მისი შემადგენლობიდან ქიმიური ელემენტების ამოსაღებად, თბოენერგიის მისაღებად და სხვა საწარმოო საჭიროებისათვის წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 66. ჰიდროენერგეტიკის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძველების შესაბამისად წყლის ობიექტებით სარგებლობა ჰიდროენერგეტიკის საჭიროებისათვის ხორციელდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგთა ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე წყლის კომპლექსური გამოყენების მოთხოვნათა დაცვით, და სხვა რამ პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ხოლო შესაბამის შემთხვევებში — წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოს გადაწყვეტილებით,

თავი XIII

წყლის ტრანსპორტის და ხე-ტყის დაცურების საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 67. საერთო სარგებლობის სანაოსნო გზები

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, არხები, შიდა ზღვები და სსრ კავშირის სხვა შიდა საზღვაო წყლები, აგრეთვე სსრ კავშირის ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა) წარმოადგენენ საერთო სარგებლობის სანაოსნო გზებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რიგა მათი ამ მიზნისათვის გამოყენება მთლიანად ან ნაწილობრივ აკრძალულია ან ისინი გადაცემული არიან განკარგულებულ სარგებლობაში.

წყალსავალი გზების სანაოსნო და ხე-ტყის დაცურების კატეგორიისათვის მიკუთვნების და აგრეთვე მათი ექსპლოატაციის წესი განსაზღვრება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

მუხლი 68. ხე-ტყის გაშლილად დაცურების, აგრეთვე გემის წევის გამოუყენებლად კონებად ან ბადით შეკრული მერქნის დაცურების აკრძალვა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ხე-ტყის გაშლილად დაცურება, აგრეთვე კონებად თუ ბადით შეკრული მერქნის დაცურება გემის წევის გამოუყენებლად აკრძალულია:

1) სანაოსნო გზებზე;

2) წყლის ობიექტებზე, რომელთა ნუსხას, თევზის მეურნეობისათვის, წყალმომარაგებისათვის ან სხვა სახალხო-სამეურნეო მიზნებისათვის მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

დანარჩენ წყლის ობიექტებზე აღნიშნული სახის ხე-ტყის დაცურება დაიშვება წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, თევზის მარაგის დამცველ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ.

მუხლი 69. ხე-ტყის დამცურებელი ორგანიზაციების მოვალეობა გაწმენდონ დაცურების გზები

ხე-ტყის დამცურებელი ორგანიზაციები მოვალენი არიან რეგულარულად გაწმენდონ დაცურების გზები ჩაძირული მერქნისაგან.

თავი XIV

საპაერო ტრანსპორტის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 70. საპაერო ტრანსპორტის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საპაერო ხომალდების გასაჩერებლად, ასაფრენად და დასაშვებად, აგრეთვე საპაერო ტრანსპორტის სხვა საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

თავი XV

თევზის მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 71. თევზის მეურნეობის საწარმოების და ორგანიზაციების წყალსარგებლობის უფლებები და მოვალეობები

საწარმოები, კოლმეურნეობები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ თევზსამეურნეო წყალსატევებით ან თევზის სარეწი უბნებით, დადგენილი წესით დამტკიცებული საწარმოო გეგმების შესაბამისად ამ წყალსატევებსა და უბნებზე ახორციელებენ თევზის მეურნეობისათვის აუცილებელ სამუშაოებს, აგრეთვე თევზის, წყლის სხვა ცხოველების და მცენარეთა მოპოვებას.

ისინი მოვალენი არიან თევზის მარაგის დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით წყალსატევებს მდგომარეობის და თევზის მარაგის კვლავწარმოების პირობების გასაუმჯობესებლად ჩაატარონ თევზწარმოების და სამელიორაციო-ტექნიკური ღონისძიებები, აგრეთვე თევზის ჭერის ადგილებში სათანადო სანიტარულ მდგომარეობაში იქონიონ სანაპირო უბნები.

მუხლი 72. თევზსამეურნეო წყალსატევებზე წყალმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვა თევზის მეურნეობის ინტერესებისათვის

თევზსამეურნეო წყალსატევებში ან მათ ცალკეულ უბნებში, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ძვირფასი ჯიშის თევზის, აგრეთვე წყალზე რეწვის სხვა ობიექტების შენარჩუნებისა და კვლავწარმოებისათვის, წყალმოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეზღუდულ იქნას თევზის მეურნეობის ინტერესების შესაბამისად.

ახალი წყალსატევების ან მათი უბნების ნუსხას და წყალსარეკლობის შეზღუდვის სახეობებს განსაზღვრავს წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოები თევზის მარაგის დაცვის ორგანოების წარდგენით.

მუხლი 73. თევზის მარაგის დაცვისა და კვლავწარმოების ღონისძიებანი

ჰიდროტექნიკურ და სხვა ნაგებობათა ექსპლოატაციისას თევზსამეურნეო წყალსატევებში თავის დროზე უნდა ხორციელდებოდეს თევზის მარაგის დაცვის და მისი კვლავწარმოების პირობების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

მუხლი 74. თევზსამეურნეო საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესი

თევზსამეურნეო საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

თავი XVI

სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 75. სამონადირეო მეურნეობის წარმოებადწესებულებათა წყალსარგებლობის უფლება

მდინარეებზე, ტბებსა და წყლის სხვა ობიექტებზე, სადაც ბინადრობს მცურავი გარეული ფრინველი და ძვირფასბეწვიანი ნადირი (თახვი, ონდატრა, ნუტრია და სხვა) წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებს შეუძლიათ სამონადირეო მეურნეობათა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მისცენ წყალსარგებლობის უპირატესი უფლება, წყლის კომპლექსური გამოყენების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 76. სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესი

სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის (მცურავი ფრინველების და ბეწვიანი ნადირის მოშენება, მცენარეთა მოყვანა და სამონადირეო მეურნეობისათვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების გატარება) წყლის ობიექტებით სარგებლობა ხდება წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებთან, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებთან, თევზის მარაგის დაცვის და სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

თავი XVII

ნაკრძალთა საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 77. ნაკრძალი წყლის ობიექტები

განსაკუთრებული მეცნიერული ან კულტურული ღირებულების მქონე წყლის ობიექტი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით ცხადდება ნაკრძალად და უფალი გაკურკრძოებული სარგებლობისათვის გადაეცემა ნაკრძალებს ბუნების დაცვისა და მეცნიერული კვლევის მიზნით.

წყლის ობიექტების ნაკრძალად გამოცხადება და ნაკრძალებისათვის მათი გადაცემა ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

ნაკრძალის წყლით სარგებლობის წესი განსაზღვრება დებულებით ნაკრძალების შესახებ.

მუხლი 78. ნაკრძალთა სარგებლობიდან წყლის ობიექტების ჩამორთმევა

ნაკრძალთა სარგებლობიდან წყლის ობიექტების ჩამორთმევა დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 79. წყლის ობიექტების ცნობა ბუნების ან კულტურის ძეგლებად

მეცნიერული და კულტურული ღირებულების მქონე წყლის ობიექტი, რომელიც არ არის გამოცხადებული ნაკრძალად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით ცხადდება ბუნების ან კულტურის ძეგლად. გადაწყვეტილება ბუნების ან კულტურის ძეგლად წყლის ობიექტის გამოცხადების შესახებ და ამ ობიექტით სარგებლობის ძირითადი პირობების დადგენის შესახებ ეცნობება მოსახლეობას და დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

თავი XVIII

ჩამდინარი წყლის ჩასაშვებად წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 80. ჩამდინარი წყლის ჩასაშვებად წყლის ობიექტების გამოყენება

წყლის ობიექტების გამოყენება სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლის ჩასაშვებად შეიძლება მხოლოდ წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოების ნებართვით სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის ორგანოებთან, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ.

მუხლი 81. წყლის ობიექტში ჩამდინარი წყლის ჩაშვების პირობები

წყლის ობიექტში ჩამდინარი წყლის ჩაშვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ გამოიწვევს წყალში გამამუქებელ ნივთიერებათა შემცველობის გაზრდას დადგენილ ნორმათა ზევით და თუ წყალმოსარგებლე ჩამდინარ წყლებს გაწმენდს იმ დონემდე, რაც წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოების მიერ არის დადგენილი.

თუ აღნიშნული მოთხოვნები ირღვევა, წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებმა უნდა შეაჩერონ, შეაჩერონ ან აკრძალონ ჩამდინარი წყლის ჩაშვება და, თუ საჭირო იქნება, საერთოდ შეწყვიტონ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ცალკეული სამრეწველო დანადგარის, საამქროს მოქმედება.

იმ შემთხვევაში, თუ ეს ეშურება მოსახლეობის ჯანმრთელობას, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვთ შეაჩერონ ჩამდინარი წყლის ჩაშვება და, თუ საჭირო იქნება, საერთოდ შეწყვიტონ საწარმოო და სხვა ობიექტების ექსპლოატაცია და ამის შესახებ აცნობონ წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებს.

მუხლი 82. ჩამდინარი წყლის ჩასაშვებად წყლის ობიექტებით სარგებლობის წესი და პირობები

ჩამდინარი წყლის ჩასაშვებად წყლის ობიექტებით სარგებლობის პირობებსა და წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

ჩამდინარი წყლის ჩასაშვებად წყლის ობიექტებით სარგებლობა ხორციელდება სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად, მაგრამ იმ პირობით, რომ ყველა ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ობიექტში ჩაშვებული ჩამდინარი წყლის გაწმენდას და გაუვნებლებას, განხორციელდება მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფი სამრეწველო, კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ძირითად საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებამდე.

თავი XIX

სანაძარსაწინააღმდეგო და სხვა სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 83. სანაძარსაწინააღმდეგო და სხვა სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესი და პირობები

სანაძარსაწინააღმდეგო და აგრეთვე სხვა საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

სანაძარსაწინააღმდეგო საჭიროებისათვის წყლის აღება შეიძლება ყველა წყლის ობიექტიდან. აკრძალულია სანაძარსაწინააღმდეგო საჭიროებისათვის განკუთვნილ წყლის ობიექტებიდან არაპირდაპირი დანიშნულებით წყლის გამოყენება.

თავი XX

წყალსაცავების ექსპლოატაცია

მუხლი 84. წყალსაცავების ავსებისა და დაცლის რეჟიმი

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ წყალსაცავებს (ყაზარდენ, წყალგამტარ თუ წყალასადებ ნაგებობებს, ვალდებულნი არიან დაიცვან წყალსაცავების ავსებისა და დაცლის რეჟიმი, რომელიც დადგენილია წყალსაცავების მოქმედების ზონაში მყოფ წყალმოსარგებლეთა და მიწიათმოსარგებლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 85. წყალსაცავების ექსპლოატაციის წესი

წყალსაცავების ექსპლოატაცია განისაზღვრება თვითეული წყალსაცავის, კასკადისა და წყალსაცავთა სისტემისათვის წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოების მიერ დამტკიცებული წესებით, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის და სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 86. წყალსაცავების სათანადო ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის უზრუნველმყოფელ ღონისძიებათა ორგანიზაცია და კოორდინაცია

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, წყალსაცავების სათანადო ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის უზრუნველმყოფელ ღონისძიებათა ორგანიზაციას და კოორდინაციას, აგრეთვე მათი ექსპლოატაციის წესების დაცვის კონტროლს ახორციელებენ წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 87. წყალსაცავებად გამოყენებული ტბები და სხვა წყალსატევები

ამ კოდექსის 84-ე — 86-ე მუხლები ვრცელდება აგრეთვე წყალსაცავებად გამოყენებულ ტბებსა და სხვა წყალსატევებზე.

თავი XXI

საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტით სარგებლობის მოწესრიგება

მუხლი 88. საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტით სარგებლობის მოწესრიგება.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტით სარგებლობა იმ ნაწილში, რომელიც ეხება ამ რესპუბლიკათა [illegible] ადგება დაინტერესებულ რესპუბლიკათა ორგანიზაციათა [illegible] ხმებით. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც წყლის ობიექტით სარგებლობის საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება სსრ კავშირის კომპეტენციას.

თავი XXII

წყალსარგებლობის შესახებ დავის გადაწყვეტის წესი

მუხლი 89. წყალსარგებლობის შესახებ დავის გადამწყვეტი ორგანოები

წყალსარგებლობის შესახებ დავას გადაწყვეტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოები და სხვა საამისოდ რწმუნებული სახელმწიფო ორგანოები იმ წესით, რაც დადგენილია სსრ კავშირის კანონმდებლობით, ამ კოდექსით და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობით.

მუხლი 90. საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკის წყალმოსარგებლეთა შორის დავის გადაწყვეტა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად წყლით სარგებლობასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკის წყალმოსარგებლეთა შორის დავის განიხილავს კომისია, რომელიც იქმნება თანაბარ საწყისებზე საქართველოს სსრ და დაინტერესებული მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ კომისიამ ვერ მიაღწია შეთანხმებას, დავა ამ საკითხზე განიხილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

**მუხლი

საქართველოს სსრ წყლის კოდექსი

(დასასრული)

ლებსაც შეუძლია ზიანი მიაყენონ მოსახლეობის ჯანმრთელობას და აგრეთვე შეამცირონ თევზის მარაგი, გააუარესონ წყალმომარაგების პირობები და გამოიწვიონ სხვა არასასურველი მოვლენები წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების შეცვლის, ბუნებრივი გაწმენდის უნარის შემცირების, წყლის ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევის შედეგად.

მუხლი 98. ღონისძიებათა გატარება წყლის დაცვის უზრუნველსაყოფად

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა გავლენას ახდენს წყლის მდგომარეობაზე, მოვალენი არიან წყლის გაითვალისწინოს და დაცვის ორგანოებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვისა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით, ან საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მითითებით, განახორციელონ ტექნოლოგიური, სატყეო-სამელიორაციო, აგროტექნიკური, ჰიდროტექნიკური, სანიტარული და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის დაცვას გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაწრობისაგან, აგრეთვე წყლების მდგომარეობისა და რეჟიმის გაუუჯობესებას.

მუხლი 99. წყლის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა

წყლის დაცვის ღონისძიებები გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით.

თავი XXV
წყლის დაცვა გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანებისაგან

მუხლი 100. წყლის დაცვა ნაყარით, ნარჩენებით და ჩამდინარე წყლებით გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანებისაგან

აკრძალულია წყლის ობიექტებში საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნაყარისა და ნარჩენების ჩაყრა. წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლის ჩაშვება დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსის მე-80—82-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 101. წყლის დაცვა საწარმოო პროდუქტების დანაკარგებით გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანებისაგან

წყლის ტრანსპორტის სამუალებათა, მილსადენების, წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობების მფლობელნი, ხე-ტყის დაცურებული ორგანიზაციები, აგრეთვე სხვა საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან არ დაუშვან წყლის გაჭუჭყიანება და დანაგვიანება ზეთის, მერქნის, ქიმიური, ნავთობის და სხვა პროდუქტების დანაკარგებით.

მუხლი 102. წყალშემკრებების, წყალსატევების უბნული საფარის და მყინვარების ზედაპირის დაცვა გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანებისაგან

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან არ დაუშვან წყალშემკრებების, წყალსატევების უბნული საფარის და მყინვარების ზედაპირის გაჭუჭყიანება და დანაგვიანება საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვა ნაყარით, ნარჩენებით და გამონაყოფით, აგრეთვე ნავთობით და ქიმიური პროდუქტებით, რომელთა ნამირევები გამოიწვევს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის გაუარესებას.

მუხლი 103. სასუქებით და შხამქიმიკატებით წყლების გაჭუჭყიანების აცილება

სახელმწიფო წყალსამეურნეო სისტემათა სამმართველოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან აიცილონ წყლების გაჭუჭყიანება სასუქებით და შხამქიმიკატებით.

მუხლი 104. სანიტარული დაცვის ოლქები და ზონები

იმ წყლის დაცვის მიზნით, რომელსაც იყენებენ სასმელად საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალოდ, მოსახლეობის საკურორტო და გასაჯანსაღებელი საჭიროებებისათვის, იქმნება სანიტარული დაცვის ოლქები და ზონები სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XXVI
წყლის დაცვა დაშრობისაგან

მუხლი 105. წყალდამცველი ტყის ზონები, სატყეო-სამელიორაციო და სხვა ღონისძიებანი დაშრობისაგან წყლის დასაცავად

მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მიწისქვეშა წყლების და წყლის სხვა ობიექტების ხელსაყრელი წყლის რეჟიმის შენარჩუნების მიზნით, ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის, წყალსატევების დალამვის, წყლის ცხოველთა ბინადრობის პირობების გაუარესების თავიდან ასაცილებლად, ჩამონაყენის ცვალებადობის შემცირებისათვის და სხვ. იქმნება ტყეების წყალდამცველი ზონები, აგრეთვე ტარდება სატყეო-სამელიორაციო, ეროზიის საწინააღმდეგო, ჰიდროტექნიკური და სხვა ღონისძიებანი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ისეთი საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების და მშენებლობის საკითხების შეთანხმება, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, აგრეთვე სპეციალურ წყალსარგებლობაზე ნებართვის მიცემისა, წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოები მოვალენი არიან ინფორმაციულნონ წყლის კომპლექსური გამოყენების და დაცვის სქემებით და წყალსამეურნეო ბალანსებით, რომლებიც ითვალისწინებენ წყალმოსარგებლეთა და მიწით მოსარგებლეთა ინტერესებს.

მუხლი 106. მიწისქვეშა წყლების დაშრობისაგან დაცვის ღონისძიებანი

გაზის, ნავთობის, ნახშირის და სხვა სასარგებლო წიაღისეულის ძიებასთან დაკავშირებული საბურღავი და სხვა სამთო სამუშაოების წარმოებისას თუ გაბინძურებული მიწისქვეშა წყალშემცველი ჰორიზონტები, სამთო სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაცია მოვალეა ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებს და მიიღოს ზომები მიწისქვეშა წყლების დასაცავად დადგენილი წესით.

ის ჭაბურღილები, რომლებიდანაც წყალი თვითდინებით ამოდის, უნდა აღიჭურვოს მარეგულირებელი მოწყობილობით ან უნდა იქნეს კონსერვირებული ან ლიკვიდირებული სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მიწისქვეშა წყლების ყველა წყალამღები, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გამგებლობაშია, აღჭურვილ უნდა იქნას მოწყობილობით წყლის დონეზე სისტემატური დაკვირვებისათვის და წყალსაზომით წყლის დებიტის დასადგენად ექსპლოატაციის პროცესში.

თავი XXVII
წყლის მავნე ზემოქმედების აცილება და ლიკვიდაცია

მუხლი 107. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოვალეობა წყლის მავნე ზემოქმედების აცილებისა და ლიკვიდაციისათვის

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან, წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით ან საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მითითებით განახორციელონ წყლის ისეთი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებანი, როგორიც არის:

წყალდიდობა, დატბორვა და წყლის შედგომა:

ნაპირების ნგრევა, დაწყლული ჯებირების და სხვა ნაგებობათა დანგრევა;

მიწების დაჭაობება და დამლაშება;

ნიადაგის ეროზია, ხრამების, მეწყერების, ღვარცოფებისა და სხვა მავნე მოვლენათა წარმოქმნა.

მუხლი 108. წყლის მავნე ზემოქმედებით გამოწვეული უბედურების აცილებისა და ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა გატარებას აწესრიგებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

წყლის მავნე ზემოქმედებით გამოწვეული ტბიქიური უბედურების აცილებისა და ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა გატარებას აწესრიგებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

წყლის მავნე ზემოქმედებით გამოწვეული ტბიქიური უბედურების აცილებისა და ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებებს ახორციელებენ წყალდიდობის საწინააღმდეგო და სხვა სპეციალური კომისიები, რომლებსაც ქმნიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ავტონომიური სსრ მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ამ კომისიების მითითებანი სავალდებულოა ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის.

მუხლი 109. წყლის მავნე ზემოქმედების აცილების და ლიკვიდაციის ღონისძიებათა დაგეგმვა

წყლის მავნე ზემოქმედების აცილების და ლიკვიდაციის ღონისძიებანი გათვალისწინებული უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის სახელმწიფო გეგმებით.

ქარი IV
წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა და დაგეგმვა

მუხლი 110. წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის და დაგეგმვის ამოცანები

წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა თავის ამოცანად ისახავს წყლის რაოდენობისა და ხარისხის, მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის მისი გამოყენების მონაცემების დადგენას.

წყლის გამოყენების დაგეგმვამ უნდა უზრუნველყოს წყალმოსარგებლეთა შორის წყლის მეცნიერულად დასაბუთებული განაწილება მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების პირველ რიგში დაკმაყოფილებით, წყლის დაცვა და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება.

წყლის გამოყენების დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო წყლის კადასტრის მონაცემები, წყალსამეურნეო ბალანსები, წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები.

მუხლი 111. სახელმწიფო წყლის კადასტრი

სახელმწიფო წყლის კადასტრი შეიცავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით წყლის აღრიცხვის, წყალსარგებლობის რეგისტრაციის მონაცემებს, აგრეთვე წყლის გამოყენების აღრიცხვის მონაცემებს.

მუხლი 112. წყალსამეურნეო ბალანსები

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად წყალსამეურნეო ბალანსები, რომლებშიც შეფასებულია წყლის არსებობა და მისი გამოყენების ხარისხი, დგება აუზების, ეკონომიური რაიონების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის მიხედვით.

მუხლი 113. წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები

წყლის კომპლექსური გამოყენების და დაცვის გენერალური და აუზისეული (ტერიტორიული) სქემები განსაზღვრავენ ძირითად წყალსამეურნეო და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს მოსახლეობის და სახალხო მეურნეობის წყალზე პერსპექტიულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, აგრეთვე წყლის დაცვისა და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის.

მუხლი 114. წყლისა და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოების, წყალსამეურნეო ბალანსების შედგენისა და წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავების წესი

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად წყლისა და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა, სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოება, წყალსამეურნეო ბალანსების შედგენა და წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავება ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე და სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით.

წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოების, წყალსამეურნეო ბალანსების შედგენისა და წყლის კომპლექსური გამოყენების და დაცვის სქემების შემუშავების წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ქარი V
პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 115. წყალზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დამრღვევი გარიგების ბათილობა

წყალსარგებლობის უფლების დათმობა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აწყვეტენ ან ზღუდავენ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ წყლის სახელმწიფო საკუთრებას, ბათილია.

მუხლი 116. სანქციონირებული ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის

იმ პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის ამ კოდექსის 115-ე მუხლში მითითებული გარიგების დადებაში, აგრეთვე:

წყლის ობიექტების თვითნებურად დაკავებაში, ან თვითნებურ წყალსარგებლობაში,

წყალსარგებლობის ნორმების დარღვევით წყლის აღებაში,

წყლის გაჭუჭყიანებასა და დანაგვიანებაში,

ისეთი საწარმოების, კომუნალური და სხვა ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემაში, რომლებიც აღჭურვილი არ არიან წყლის გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის საჭირო ნაგებობებითა და მოწყობილობებით,

იმ წყლის უყაირათო გამოყენებაში, რომელიც მიპყრობილია ან გაყვანილია წყლის ობიექტებიდან,

წყალშემკრებებში წყალდაცვის რეჟიმის დარღვევაში, რაც იწვევს მათს გაჭუჭყიანებას, ნიადაგის წყლისმიერ ეროზიას და სხვა მავნე მოვლენებს,

ჰიდროტექნიკური და წყლის მდგომარეობაზე გავლენის მქონე სხვა სამუშაოების თვითნებურად წარმოებაში,

წყალსამეურნეო ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანებაში,

წყალსამეურნეო ნაგებობათა და მოწყობილობათა ექსპლოატაციის წესების დარღვევაში, —

ეკისრება სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის სხვა სახის დარღვევებისათვისაც.

მუხლი 117. დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენება

იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც არ იცავენ წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის წესებს ან არღვევენ სხვა წყალმოსარგებლეთა კანონით დაცულ უფლებას, გამოიყენება დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები დადგენილი წესით.

მუხლი 118. თვითნებურად დაკავებული წყლის ობიექტების დაბრუნება

თვითნებურად დაკავებული წყლის ობიექტები დაბრუნებულ უნდა იქნას კუთვნილებისამებრ იმ ხარჯების აუნაზღაურებლად, რომლებიც გაწეულია უკანონო სარგებლობის დროს.

მუხლი 119. წყლის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები მოვალენი არიან ანაზღაურონ წყლის კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალი იმ რაოდენობით და იმ წესით, რომელსაც ადგენს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა. თანამდებობის პირებს და სხვა მუშაკებს, რომელთა ბრალით საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ გასწია ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სარჯები, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

მსოფლიო დღეს

საბჭოთა დელეგაციის მეთაური პეკინში

პეკინი, 25 ივნისი. (საკ.ინ.). დღეს პეკინში ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკებაზე საზღვრების საკითხთა მოწესრიგებაზე შესახებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი.

პეკინის აეროდრომზე ლ. თ. ილიჩოვს დახვდნენ ჩინეთის მთავრობის დელეგაციის მეთაური საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკებაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იუი ჯანი, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ს. ტოლსტიკოვი, სხვა ოფიციალური პირები.

რ. ნიქსონი ევროპაში გაემგზავრა

ვაშინგტონი, 25 ივნისი. (საკ.ინ.). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი დღეს გაემგზავრა ბრიუსელში, სადაც შეჩერდება საბჭოთა კავშირში გზად მიმავალი.

გაფრენის წინ რ. ნიქსონმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირში გამგზავრება მას აძლევს „შესაძლებლობას კვლავ შეხვედეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და მის კოლეგებს. ამ უმაღლესი დონის შეხვედრაზე, ისევე როგორც სხვა უმაღლესი დონის შეხვედრებზე — ორი წლის წინათ მოსკოვში, შარშან ვაშინგტონსა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა რაიონებში, — იმედი გვაქვს განვამტკიცოთ ორმხრივი ურთიერთობა მსოფლიოს ორ ყველაზე მძლავრ სახელმწიფოს შორის, იმედი გვაქვს გავაფართოოთ თანამშრომლობის სფეროები, რათა თავიდან ავიცილოთ კონფრონტაცია მსოფლიოს კრიტიკულად მნიშვნელოვან რაიონებში, სადაც ორ დიდ სახელმწიფოს შორის შეიძლება გაჩნდეს კონფლიქტი. იმედი გვაქვს მივაღწიოთ შემდგომ აროგრესს როგორც ჩვენი ქვეყნებისათვის, ისე მთელი მსოფლიოსათვის ატომური იარაღის სიმძიმისა და საფრთხის შეზღუდვაში“.

ეს დიდი მიზნებია, ხაზგასმით აღნიშნა რ. ნიქსონმა. ჩვენს გეგმას, რომ არა მარტო უნდა განვახორციელოთ, არამედ შეგვიძლია კიდეც განვახორციელოთ ისინი. როცა საქმე ეხება ორი დიდი სახელმწიფოს — შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, — ამ დიდი ხალხების თანამშრომლობა შეუცვლელია თუ გვსურს ავაშენოთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის მტკიცე სტრუქტურა.

ბოკლე ცნობები

ატომური აფეთქება ინგლისში

□ ლონდონი, 24 ივნისი. (საკ.ინ.). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა დღეს თემთა პალატაში განაცხადა, რომ დიდმა ბრიტანეთმა რამდენიმე კვირის წინათ მოახდინა მიწისქვეშა ატომური აფეთქება.

გამბიის მოსახლეობა

□ დაკარი, 25 ივნისი. (საკ.ინ.). უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, 1973 წლის დეკემბრისათვის გამბიის მოსახლეობამ შეადგინა 493,197 კაცი. მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს შეადგენენ 14 წლამდე ასაკის ბავშვები.

1963 წელთან შედარებით რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობა 177.711 კაცით გაიზარდა.

იუნესკოს სიმპოზიუმი

პარიზი, 25 ივნისი. (საკ.ინ.). დღეს იუნესკოს პარიზის შტაბ-ბინაში მუშაობა დაიწყო ადამიანზე გავლენა-ნებული გარემოს ზემოქმედების შემსწავლელმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობს 50 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ათასამდე მეცნიერი და ექსპერტი.

სიმპოზიუმი 28 ივნისამდე გასტანს. მისი მონაწილეები განიხილავენ ათობით მოხსენებას.

ახალი პოლიტიკური პარტია

ბანგკოკი, 25 ივნისი. (საკ.ინ.). ტაილანდის რამდენიმე პარტიის გაერთიანების შედეგად შეიქმნა ახალი პოლიტიკური პარტია — „სოციალისტური გაერთიანებული ფრონტი. ახალმა პარტიამ განაცხადა, რომ განახორციელებს სხვადასხვა სისტემის ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკას. ტაილანდს ვერც ერთი უცხოელთან სახელმწიფო ვერ გამოიყენებს სამხედრო ბაზად და იგი არ იქნება რომელიმე სამხედრო კავშირის, მათ შორის სეატოს წევრი, განაცხადა სოციალისტურმა გაერთიანებულმა ფრონტმა.

პარტიამ ითვალა 20 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი კვლავ ნორმალურ მეთაურობით.

სმრიოზული შეშფოთება

ვაშინგტონი, 25 ივნისი. (საკ.ინ.). ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის მდგომარეობა ამერიკის მთავრობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა მოაწყო მორიგი თათბირი წამყვან ეკონომიკურ მრჩევლებთან. თათბირზე, როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, განიხილეს ამერიკის ეკონომიკის ხუთადახუთა ასპექტი.

თათბირის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა რ. ნიქსონის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეკონომიური პრობლემების „დაძლევა ძნელი იქნება“. არ ვეგონია, რომ მალე შეწყდეს ინფლაცია. თქვა პრეზიდენტმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოხმარების საქონლის ფასების ზრდა „ამიდგამაცრუებელია“. საცალო ფასების მდგომარეობის შესახებ უკანასკნელი მონაცემები, აღიარა რ. ნიქსონმა, მოწმობენ, რომ წლის დამლევისათვის ინფლაციის ტემპს შენელების შემოხვევაშიც კი, მისი დონე მაინც მაღალი იქნება, ვიდრე ამერიკელებს სურთ.

ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი მიმდინარე საფინანსო წელს, რომელიც 30 ივნისს მთავრდება, განაცხადა პრეზიდენტმა, დაახლოებით 3 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ხელი მოანერეს გეგმას

ანკარა, 25 ივნისი. (საკ.ინ.). უგანდის დედაქალაქში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და უგანდის რესპუბლიკას შორის 1974-1975 წლებში კულტურული თანამშრომლობის გეგმას.

ვულოცავთ

ეკიპა ჩიგუარდანიძე — საერთაშორისო ოსტატი

საფრანგეთის საკუროორტო ქალაქ ნიცაში 24 ივნისს გაიხსნა ფიდე-ს გენერალური ასამბლეა, რომელშიც სხვა საკითხების გადაწყვეტასთან ერთად საერთაშორისო ოსტატის წოდება მიანიჭა თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეს, 13 წლის ეკიპა ჩიგუარდანიძეს.

დიდი ოგება

სპორტლოტო. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბრიგადირმა თეგერიო ეოლოშინმა ბოლო, მე-17 ტირაჟში მთელ კავშირში ერთადერთმა („სპორტლოტო-2“) ზუსტად გამოიცნო სპორტის ექვსივე საგობა და 5.000 მანეთი მოიგო. წინა, მე-16 ტირაჟი კი სასიხარულო იყო წყალტუბოელ ნიკოლოზ გოგოლეველისათვის, რომელმაც ხუთ-ხუთი „სწორი“ ციფრი გადასახა „სპორტლოტო-2“-ის ორ ბარათში. მისი მოგება შეადგენს 7.581 მანეთს. 2.112 მანეთს მიიღებენ (თვითეული) ბოლნისელი ხ. ღიბრაძე და თბილისელი ინჟინერი კ. ჩოგოვაძე, რომლებმაც წინა ტირაჟში აგრეთვე „მოარტყეს ხუთიანს“.

სპორტის ქმგები

ფეხბურთი. გუშინ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ხაკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

თბილისს „ლოკომოტივის“ სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და დონეცკის „შახტიორი“.

პირველი ტაიმის 26-ე წუთზე მ. მაჩაიძის, (ამ დღეს ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა) დარტყმამ გავიმარჯვა ზუსტი გადაცემიდან გადაწყვეტილ მატჩის ბედი თბილისელთა სასარგებლოდ — 1:0.

დინამოელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ებრალიძე, ჭელიძე, მუჯირი, გავაშელი, გ. მაჩაიძე, ახალთაია, გუცაძეი, მ. მაჩაიძე, წერეთელი.

ახალთაია დანარჩენი მატჩების შედეგები:

„არარატი“ — „ზარია“ — 4:2

„ზენიტი“ — „კარპატი“ — 1:0

„ჩერნომორეცი“ — „კირატი“ — 3:3

„ნისტრუ“ — „პახტაკორი“ — 0:1

ცხკა — „დინამო“ კ. — 1:1.

ფარდაკი. ქისლოვოდსკში მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ვალენტინა კოზლოვსკაიასა და ირინე ლევენტინას ნახევარფინალური მატჩის მეთერთმეტე პარტია 42-ე სვლაზე გადაიდო. როგორც ჩანს, პარტია ყაიმით დამთავრდება.

მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე ნიცაში გაიმართა მეათე ტური. საბჭოთა ნაკრებმა ფრედ 2:2 დაამთავრა შეხვედრა ჩეხეთის გუნდთან. მანამდე კი შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. იგი წარმატებითი იყო საბჭოთა გროსმაისტერებისათვის, რომლებმაც ანგარიშით 3,5:0,5 დაამარცხეს რუმინეთის გუნდი. ახლა ჩვენს ნაკრებს 30 ქულა აქვს და ლიდერობას განაგრძობს.

მიფრინავს ორბიტული სადგური „სალუტ-3“

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1974 წლის 25 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს ორბიტული სამეცნიერო სადგური „სალუტ-3“.

„სალუტ-3“ სადგურის გაშვების მიზანია სადგურის სრულყოფილი კონსტრუქციის, აგრეთვე საბორტო სისტემების, აპარატების შემდგომი დამუშავება და მეცნიერულ-ტექნიკური კვლევა და ექსპერიმენტების მოწყობა კოსმოსური ფრენის დროს.

„სალუტ-3“ სადგური გაყვანილია დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 270 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 219 კილომეტრი;

— მიმოქცევის პერიოდი — 89,1 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ფრენას თვალს ადევნებენ ტელემეტრიულ ინფორმაციას იღებენ და სადგურს მართავენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული საზომი პუნქტები და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის სხვადასხვა რაიონში მყოფი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გემები: „კოსმონავტი იური გაგარინი“, „კოსმონავტი ვლადიმერ კომაროვი“.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკ.ინ.).

რა ვნახოთ, რა ვოცილინოთ

ტელევიზია

26 ივნისი

პირველი პროგრამა

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსკოველთათვის. „ბუნების მეგობრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“ (VI სერია), 16.35 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლ ად — ლექციები: მათემატიკაში, 17.20 — ქართული ენაში, 18.05 — ვანცსადეგებში, 18.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „თანამედროვე ქართული ლითონმქანდაკებლები“, 18.40 — „სასალხო კონტროლის ეკრანი“, 19.00 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო პირველობა შახტიორში (გადმოცემა ვერშანის ფედერაციული რესპუბლიკიდან), 20.45 — „მწვრალი და ცხოვრება“, 21.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.35 — კონცერტი, 22.00— „ერემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ჯადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო პირველობა შახტიორში (გადმოცემა ვერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან). შესვენების დროს ევროპის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ფინალი (გადმოცემა ესპანეთიდან).

თეატრები

26 ივნისი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ყვარყვარე; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თვალი პატიოსანი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — პრინც-მალ-ალან.

რედაქტორი
დ. მეტლიშვილი.

ამერიკის შეერთებული შტატები

საგზოთა დელეგაციის მეთაური პეკინში

ინგლისი

ინდოეთი

ეგვიპტე

ბელგია

ესპანეთი

ეთიოპია

ბრაზილია

ბულგარეთი

ფრანგეთი

ფინეთი

ჩეხოსლოვაკია

ავსტრალია

ბელგრადი

ბონი

ბუენოს-აირესი

ვაშინგტონი

ვენა

ზოლოგნა

ზაგრები

ზალცბურგი

ზალონიკი

ზანზიბარი

ზანდამი

ზანტიაგო

ზანტო-დომინგო

ზანკოკი

ზანკოვერი

ზანტა-ანა

ზანტა-ანდერი

ზანტა-ანა

ზანტა-ანდერი

ზანტა-ანა

ზანტა-ანდ